572
1956

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლილეა

„ოფლიანი, ტურფა ქალიანა,
ილხინე, ივერო მხარეო,
და მერე, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო!“

№ 10 საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტის ჟურნალი მცირეწლოვანთათვის ოქტომბერი 1956

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. ჟღენტი

ციალას წერილი

მვირფასო და სანატრელო,
საყვარელო ბები!
დაგკოცნი და დამიკოცნე
ყველა ნაცნობები!

ბები, ჩემო ტკბილო ბები!
აგრემც გენაცვლები!
მე ცალკე გამომიგზავნე
თეთრი ჩურჩხელები!

სხვა ხილიც არ დაივიწყო:
კომში, ვაშლი, მსხლები;
ჩამიჩი და ლეღვის ჩირი,
თხილი და კაკლები!

აბა, სხვა რაღა მოგწერო,
ჩემო კარგო ბები,
გთხოვ, მალე გამომიგზავნო,
რასაც გეხვეწები!

ბები, დედას ეუფიცები,
მუდამ მეყვარები.
ოქროს სათვალეს გიყიდი,
როცა გავიზრდები!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი. ჭაიცი

ანგელიტო

ნახატები ქ. მახარაძისა



ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში ზაფხულობით ძალიან ცხელა. ვიწრო ქუჩებში მიგრიალებენ მანქანები, ისმის ტრამვაების ზარის წკრიალი; ბროწეულის და ღვინის გამყიდველები მუშტრებს ხმამაღლა გასძახიან. ამ ხმაურში გარკვევით ისმის პატარა ბიჭის წკრიალა ხმა:

— აგუა ფრია! ცივი წყალი!

გამვლელები მისკენ იხედებიან. ბიჭს განიერი შარვალი შიშველ ბეჭებზე ზონრით დაუმაგრებია. თავზე უშველებელი თიხის სურა დაუდგამს, სურას ძლივს ერევა და მაინც მკვირცხლად გაიძახის:

— აგუა ფრია!

განსაკუთრებით საამო მოსასმენია ეს სიტყვები ცხელ ამინდში.

— ჰეი, ანგელიტო, წყალი მოიტა!— ეძახიან გამვლელები.

ამ დილით სურის ასაესებად ანგელიტო შალიან ადრე ადგა. სასწრაფოდ ჩაიცვა განიერი შარვალი, რომელსაც დიდი ჯიბე აქვს. ეს შარვალი მარიამ შეუკერა. მარია ანგელიტოს დაა, ქალბატონ როდრიგოს სამკერვალო ფაბრიკაში მუშაობს და კარგ მუშადაც ითვლება. მერე ანგელიტომ წაისაუზმა და მდინარისაკენ გაიქცა.

ანგელიტომ დიდხანს იკუუმპალავა ცივ წყალში, წყალიც ბლომად შესვა, რომ შემდეგ არ მოსწყურებოდა; სურაც აავსო, თავზე დაიდგა და ქალაქისაკენ გაეშურა.

დილაობით მუშტრები ცოტა ჰყავს. მაგრამ რაც უფრო მაღლა იწევს მზე, მით უფრო ხშირად გაისმის:

— ჰეი, სურა, აქეთ!

აი, ახლა ანგელიტო თამბაქოს ფაბრიკის მუშას უმასპინძლდება. მან გაყვითლებული თითებით აიღო ჯამი და აუჩქარებლად დაიწყო სმა. ანგელიტომ ფრთხილად ჰკითხა:

— თქვენ რას ფიქრობთ ომის შესახებ?

— ომის?—გაუკვირდა მუშას,—რომელი ომის?

— აი, წაიკითხეთ, აქა სწერია,—აჩქარდა ანგელიტო და უძირო ჯიბიდან ქაღალდის ფურცელი ამოიღო. მუშამ მიმოიხედა და ქაღალდი გამოართვა.

ბორჯომის სახ. ...
საჯარო
ბიბლიოთეკა
ფილიალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საიდანა გაქვს ეს, პატარავ?

ანგელიტო დუმს. წუხელ, დაღლილ-დაქანცულს კუთხეში ტომარაზე მიეძინა. შუაღამისას მარია დაბრუნდა ფაბრიკიდან, მაგიდას მიუჯდა და სანთლის შუქზე ქაღალდებს დაუწყო რჩევა. ანგელიტოს გაეღვიძა.

— მარია, ეგ რა წერილებია?—ჰკითხა მან.

მარია შემოტრიალდა.

— არა, ეს წერილები არ არის, დაიძინე. შენ ვერ მიხვდები.

— არა, მივხვდები!—ეწყინა ანგელიტოს,— მე ახლა თვითონ ვშოულობ ფულს.—და მარიას წვრილი ფული გაუწოდა.

— მაშ, კარგი, აი, შეხედე!—მარიამ ქაღალდი დაანახვა, მაგრამ ანგელიტომ კითხვა არ იცოდა, ის ხომ ძალიან ღარიბი იყო და სკოლაში, აბა, ვინ მიიღებდა.

მარიამ უამბო, რომ დედამიწაზე ცხოვრობენ ერთი მუჭა მდიდრები, რომლებსაც სურთ ომი. სამაგიეროდ დანარჩენებს მშვიდობა უნდათ. ჰოდა, თუ ყველა მოაწერს ხელს ამ ქაღალდზე, მაშინ ომიც არ იქნება.

ანგელიტო შავი ასოებით აჭრელებულ თეთრ ქაღალდს დასცქერის.

— მარია, შეიძლება მეც მოვაწერო?

— არა, ანგელიტო! მე დიდების ხელმოწერას ვაგროვებ, შენ კი პატარა ხარ.

— შეიძლება, მეც შევაგროვო?

— არა, არა!—მოეხვია ძმას მარია,— პოლიციელები დაგიჭერენ.

— ვერ დამიჭერენ, მოვახერხებ. აი, ნახავ!

ანგელიტომ როგორც იქნა დაითანხმა და. მარიამ ძმას ფანქარი და ქაღალდი მისცა და აუხსნა, როგორ შეეგროვებინა ხელმოწერა.

ჰოდა, ახლა ანგელიტო მუშას თეთრ ფურცელს უწვდის და, როგორც დამ დაარიგა, ისე ეუბნება:

— აქ ყველაფერი სწერია... თქვენ მხოლოდ წაიკითხეთ და ხელი მოაწერეთ. მაშინ ომი აღარ იქნება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აქ ყველაფერი სიმართლეა. წმიდათა-წმიდა სიტყვებია!—წამოიძახა მუშამ, გაყვითლებულ თითებში ფანქარი დაიჭირა და ხელი მოაწერა.

ანგელიტო დიდხანს დახეტიალობს ქუჩებში. ვინც წყალს სთხოვს, ყველას გაბედულად აწვდის ფანქარსა და ქაღალდს. იცის, რომ მდიდრები მას არ გააჩერებენ. აბა, რად უნდათ მდინარის მღვრიე წყალი, როცა შეუძლიათ ღვინო დალიონ, ფორთოხალი ჭამონ, ლეღვით ან ბროწეულით გაისველონ პირი.

მთავარ ქუჩაზე ანგელიტო ერთმა ქალმა შეაჩერა.

— ბიჭიკო, დამისხი! პირამდე აავსე!

სანამ ის სვამდა, ანგელიტომ ქალალდი გაუწოდა და ხმადაბლა უთხრა:

— ქალბატონო, თუ შეიძლება, ეს წაიკითხეთ და ხელი მოაწერეთ, რომ ომი არ იყოს!

— რაო? — ქალბატონმა გამხდარი თითები სახელოში სტაცა ანგელიტოს,— ეს ვინ მოგცა, საძაგელო ბიჭო? ჩემი ფაბრიკა სავსეა ასეთი საზიზღარი ქალალდებით! პოლიციას შეატყობინეთ პოლიციას!

ახლა კი იცნო ანგელიტომ სამკერვალო ფაბრიკის პატრონი ქალბატონი როდრიგო. რად დასჭირდა მას მდინარის მღვრიე წყალი? ეს მდიდარი ქალბატონი უთუოდ ძუნწიც ყოფილა,—მიხვდა ანგელიტო.

ირგვლივ ხალხმა მოიყარა თავი: მოჯამაგირეებმა, ჯორების გამყოლებმა, მუშებმა. მაგრამ არავინ ჩქარობდა პოლიცია მოეყვანა. ანგელიტომ ხელი გაინთავისუფლა, მძიმე სურა ქვაფენილზე დადგა, მერე ხელიდან გამოსტაცა ქალბატონს ფურცელი... და გაიქცა.

— დაიჭით, დაიჭით!—იყვირა ქალბატონმა.

მაგრამ ხალხი ანგელიტოს გზას უთმობდა. „გაიქეცი, გაიქეცი, ბიჭუნავ!“— ესმოდა აქეთ-იქიდან.

აი, მდინარეც გამოჩნდა. ანგელიტომ თავისუფლად ამოისუნთქა. უჰ, რამოდენა წყალია! რამდენ ხალხს მოუკლავს წყურვილს.

მაგრამ რითი წაიღოს? სურა ხომ იქ დარჩა, მთავარ ქუჩაზე, და ძუნწმა ქალმა უთუოდ თან წაიღო.

ანგელიტომ ტანთ გაიხადა, ფრთხილად დამალა შარვალი ქვის ქვეშ და წყალში ჩაყვინთა.

რა კარგი სურა ჰქონდა! მაგრამ არა უშავს, სამაგიეროდ ომი არ იქნება, ეს უფრო მთავარია. ანგელიტო ხარბად ყლაპავს მოყვითალო წყალს. ახალ სურას კი მარია უყიდის! ანგელიტო ისევ აჰყვება ქუჩებს და დაიძახებს:

— აგუა ფრია! ცივი წყალი!...

თარგმანი **ნ. თოფჩიშვილისა**

ლ. დელიანუ
მოლდაველი.პოეტი

ნახატი Ო. ჯიშკარიანისა

პეტია მჭედელი



სოფლის ბოლოს, წყაროსთან,
ტყისპირს წამომართული,
მთელ სოფელში განთქმული
დგას ფიცრული ფარდული.
დაგა-დუგი,
ტაკა-ტუკი,
ისმის შეუწყვეტელი...
მოდი, ვნახოთ სამჭედლო
და პეტია მჭედელი.
გახურებულ ქურასთან
ბევრჯერ კვამლმა შებურა;
ცეცხლისა და ჭვარტლისგან
სულ მთლად გაშავებულა;
ცხენი ბევრი უნახავს,
ბევრი დაუჭედია;
გამოცდილი ოსტატის
შეგირდია პეტია.
და ჰა, მოხტის ცხენდაცხენ
გმირი რკინის მკვნეტელი:
— დამიჭედე მერანი,
პეტავ, თუ ხარ მჭედელი!
ოღონდ კარგად გახსოვდეს,
საფრთხილოა ძალიან,
უცებ წიხლი არა გკრას
ფიცხია და ჩქარია...—
გაიღიმა პეტიამ:
— ეგ სიფრთხილე მეტია,

ცხენი ბევრი მინახავს,
ბევრი დამიჭედია.—
მიეგება ცხენოსანს,
ჩამოართვა აღვირი,
გამოაბა სამჭედლოს
კართან ოფლად გაღვრილი.
და თქვა:—ცხენი კი არა,
სწორედ ზღაპარიაო...
ეგ ფაფარი ნამდვილად
ოქროს ფაფარიაო.
მაგისთანა მერნებით
ალბათ ძველისძველადო
გმირი მზეკაბუკები
დაფრინავდნენ ველადო.
მაგას მე ვერ დავჭედავ,
ვერ შევკადრებ სხვა ლითონს,
მაგას ძველად ჭედავდნენ
მხოლოდ ოქროს ნალითო...—
იგი წუთით გაჩუმდა,
ბოლოს ჰკითხა:—მითხარო,
სად და როდის იყიდე,
თუ კაცი ხარ, ვინ ხარო?—
და მიუგო მხედარმა
პეტა მჭედელს რიხითა:
— სოფლის უნივერმაღში
გუშინ მამამ მიყიდა.

თარგმნა მურმან ლებანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურძნის მარცვლები

ნ. ბეზარაშვილი

ვანო დილასაც ბრაზობდა, არ უნდოდა, გოგი მათთან ერთად წაეყვანათ რთველში: „პატარაა, ყურძნის კრეფას ვერ შესძლებს, თვითონაა მოსავლელიო.“ და ახლა გოგის ტირილი რომ მოესმა, უფრო მეტად გაბრაზდა.

— რა გატირებს, საკრეფად წამოხვედი თუ სატირლად?—შეუყვირა ძმას. გოგი კი ხან ერთ ჯიბეში იყოფდა ხელს, ხან მეორეში, თან ტირილს უმატებდა.

— როგორ დავკრიფო, დანა დამვიწყებია!

— სახლში დაგრჩა? არა უშავს რა, რომ დავიღლები, დანას მერე შენ გათხოვებ.—უთხრა თამარმა, გოგი ვაზებიდან გამოიყვანა და, როგორც იქნა, დაამშვიდა. თვითონ ვაზებს დაუბრუნდა, გოგი კი იქვე მწვანეზე წამოჯდა. თვალს არ აშორებდა და-ძმას, ელოდებოდა დანას, მაგრამ თამარი იგვიანებდა. უცბად გოგომ რაღაც მოიფიქრა, წამოხტა, კალათი მოიმარჯვა და დაკრეფილ ვაზებში შევიდა.

დასვენება რომ გამოაცხადეს, კოლმეურნეებთან ერთად ვანო და თამარიც კაკლის ხის ქვეშ ჩამოსხდნენ.

— გოგი სადღაა?—შეეკითხა ვენახიდან გამოსული პაპა. და-ძმას ახლა გაახსენდათ გოგი. სასწრაფოდ წამოხტნენ და ის იყო ვენახისაკენ უნდა გაქცეულიყვნენ, რომ ერთმა კოლმეურნემ დაიძახა:

— აგერ, თქვენი გოგი მოდის და კალათს ძლივს მოათრევს.

გოგი ცალ მხარეს გადახრილიყო, ეტყობოდა, უძნელდებოდა კალათის ზიდვა.

— დანა რომ არა ჰქონდა, როგორ დაკრიფა ყურძენი?—გაკვირვებით წამოიძახეს თამარმა და ვანომ და მისაშველებლად გაიქცნენ. კალათი ვანომ გამოართვა, პაპასთან მიიტანა და შეესჩივლა:

— რა უქნია! მარცვლები დაუკრეფია, კლერტები კი ვაზზე დაუტოვებია. ისინიც ხომ საჭიროა!

— მოიცა, ვნახოთ, იქნებ მიწაზე აკრიფა?—სიტყვა შეაწყვეტინა პაპამ, მუჭით ამოიღო მარცვლები და კარგად დააკვირდა.

— ყოჩაღ, მიწაზე გაფანტული მარცვლები აუკრეფია. ნახევარზე მეტი მიწიანია,—თან სინანულით გაიქნია თავი,— ამდენი მარცვალი ნეტავ ვინ დააბნია?

— კი, პაპა, სულ მიწაზე ავკრიფე. თამარი და ვანო ყურძენს რომ კრეფდნენ, მარცვლები დაბლა ცვიოდა. მაგრამ იქვე ტოვებდნენ.—მიუგო გოგომ.

ვანომ და თამარმა თავი დახარეს. ახლა გაახსენდათ, რომ ძირს ჩამოცვენილი მარცვლებიც უნდა აეკრიფათ.

გ. ლეკვეკვა

ფოსტალიონი

ყოველ დილით ეზოში
შემოაფრენს გაზეთებს,
გაგვიღიმებს შორიდან,
ტკბილად მოგვიალერსებს.
ვიცნობთ მის ხმას თუ არა,
სიხარული აგვანთებს,
ხან ჟურნალებს მოგვიტანს,
ხან გადმოგვცემს ბარათებს.

ვეხმარებით ბავშვები,
მძიმე ტვირთს თუ ატარებს,
ჩანთას გადავიკიდებთ
და ჩვენ მიგვაქვს ბატარებს.
ხან კი ჩრდილში ვასვენებთ
და მის თვალწინ ვტრიალებთ,
ხან მახლობელ ეზოში
გაზეთს ჩავაფრიალებთ.

ნახატი **გრ. ჩიტრინაშვილისა**

ბებია და შვილიშვილი

კ. გოგბიაშვილი

ბებო მალხაზს აძინებს და
თან უმღერის ნანას:
— გაიზარდე, ასახელე
ბებო, დედა, მამა.
ჩემო ჩიტო, ჩემო გვრიტო,
ნანა, ვარდო, ნანა...
ნუ მაწვალებ, დაიძინე,
არ გიყვარვარ განა?—
მალხაზს კი არ ეძინება,
ბებოს უთვალთვალებს,
ხან ადგება, ხან დაჯდება,
აბრიალებს თვალებს.
რა ქნას ბებომ, მალხაზს თავი
როგორ მიანებოს?
და ბიჭუნას ნაცვლად იქვე
ჩაეძინა ბებოს!
დაიღალა მოხუცი და
მაშ რა ექნა განა?!
ჩუმად უმღერს შვილიშვილი:
— ნანა, ბებო, ნანა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზეინაბი

ანა ხახუბაშვილი

ნახატი გრ. ჩიტრინაშვილისა

ზეინაბს ერთი ცუდი ზნე სჭირდა: როცა ნამცხვარს ან კარაქწასმულ პურს მისცემდნენ, იმწამსვე გარეთ გარბოდა, რომ იქ შეეჭამა. ამისათვის ხშირადაც დაუსჯიათ, მაგრამ ეს ჩვეულება ვერ იქნა და ვერ მოაშლევინეს.

— რასა ჭამ, ზეინაბ, მურაბაა? — ჰკითხა და ისეთი ღიმილით დაუწყო ცქერა, რომ აშკარა იყო, მურაბის დანახვაზე პირწყალი მოუვიდა. თიკოლმაც უცქირა,უცქირა და მერე ჰკითხა:

— ტკბილია?! აბა, გემო მიჩვენე! — და თითი მოიმარჯვა, რომ მურაბისათვის მოესვა. ზეინაბმა შუბღი შეიკრა და პური ზურგს უკან დამალა: ამ დროს უკნიდან ეზოს ძაღლი მიეპარა, პური გამოსტაცა და გააძუნძულა. ზეინაბი ატირდა, მაგრამ რაღას იზამდა! წაილო ძაღლმა მისი მურაბაწასმული პური.

ერთ დღეს ზეინაბმა მურაბაწასმული პური დედის შეუმჩნევლად ეზოში გაიტანა და მაყვალასა და პაწია თიკოსთან დაიწყო ჭამა.

მაყვალამ წითელ მურაბას რომ მოჰკრა თვალი, ცალ ფეხზე შედგა და შეიკუნტრუშა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. ბელიაშვილი

ხახატები ირ. არღიშვილისა

თეთრგულას თავგადასავალი

ჩვენი ეზო მაღალი სახლებითაა გარშემორტყმული. შუაგულ ეზოში სამი მაღალზე მაღალი გუნდის ხე ანუ კვიპაროსი დგას. ერთი მათგანი იმდენად ბებერია, რომ კენწერო უკვე წამხმარი აქვს.

ამ გუნდის ხეებზე საღამოობით თავს იყრიან ხოლმე ბეღურები და ისეთ ჟივილ-ხივილი აქვთ, რომ ყურთასმენა აღარაა.

შინაური კატები ეზოში დასეირნობენ, ხანდახან ბეღურებისაკენ აიხედავენ ზემოთ, მაგრამ მათზე ნადირობას ვერა ბედავენ. მართალია, კატას შეუძლია ხეზე ასვლა და ჩვენმა ფისოებმაც რამდენჯერმე სცადეს აცოცება, მაგრამ სამ მეტრზე მაღლა ვერ ავიდნენ, ბრუყალები ეტკინათ და უკანვე ჩამოცოცდნენ.

ერთ დღეს, რომელიღაც სხვა ეზოდან საოცრად ლამაზი, თეთრგულა კატა მოვიდა. გაიგონა თუ არა ბეღურების ჟივილ-ხივილი, გაოცებით აიხედა მაღლა და კუდი მრისხანედ გააქნია, ვითომდა ამას რას ვხედავო! მერე გაფაციცებით რამდენჯერმე შემოურბინა ხეს და ტოტებს თვალთვალი დაუწყო. უცბად გაექანა, ისკუპა, ხეს თათებით მოეჭიდა და ზედ აცოცდა. როდესაც იმ სიმაღლემდე მიაღწია, სადამდეც ჩვენი კატები აღწევდნენ, შეისვენა. ჩვენ გვეგონა, უცნობი ფისო ახლა კი უარს იტყვის განზრახვაზე და უკან დაბრუნდებაო. გაგონილა! მიძვრებოდა ზემოთ. ბეღურებმა შეამჩნიეს თუ არა, კატა გვეპარებაო, შეიფრთხიალეს და კენწეროს მიაშურეს.

როდესაც ფისომ დაინახა, — ბეღურები მაღალ ტოტებზე გადასხდნენო, ზემოთ გასწია. ბეღურები თითქო აღიზიანებდნენ ფისოს. ტოტების გარშემო დაფრენდნენ და სულელ ფისუნიას სულ მაღლა და მაღლა იტყუებდნენ. აი, ავიდა სულ კენწეროზე ჩვენი ფისო, მაგრამ იქ აღარც ერთი ბეღურა არ დახვდა, — ყველანი მეორე ხეზე გაფრენილიყვნენ; მაშინ პირში ჩალაგამოვლებულმა ციცუნიამ დააპირა უკან დაბრუნება და წიწვით დაფარულ ტოტზე გავიდა. ტოტმა ქანაობა დაიწყო, ციცუნია დაფრთხა და ხის წვერს დაებღაუჭა.

— მიაუუ... — საცოდავად დაიკნავლა მან და ქვევით ჩამოიხედა, ვითომდა მიშველეთო.

ამ მსუნაგი ფისოს გაჭირვება ეზოში ყველამ შეიტყო.

— აი, შე არამზადა, აცოცების თუ არ გეშინოდა, ახლა ჩამოსვლისა გეშინია? — შესძახა ქვემოდან ძია მიხომ.

— ფისო, ჩამოდი, ფისო! — ასძახოდნენ ბავშვები.

— ნუ გეშინიათ, ჩამოვა. რისი კატაა. თუ ხიდან ვერ ჩამოვიდა?! — დაამშვიდა ძია მიხომ ბავშვები.

მთელი დღე გავიდა და ფისო ისევ ხის კენწეროზე იჯდა. ხანგამოშვებით გულსაკლავად დაიკნავლებდა ხოლმე, მაგრამ ჩამოსვლას ვერა ბედავდა. მის ჩამოსაყვანად კი გუნდის ხეზე, აბა, ვის შეეძლო ასვლა.

დილით ყველანი გავცვივდით აივანზე. ვხედავთ, ფისო ისევ ხეზე ზის. ჩვენს ძახილზე თითქოს სცადა ჩამოსვლა, ნელა დაიწყო ჩამოცოცება, მაგრამ ისევ რაღაცისა შეეშინდა და კვლავ ზემოთ აძვრა.

მეორე დღეს ისევ გავიხედე აივანზე. ვხედავ, ქარი ამოვარდნილა და ხის კენწეროს აქანავებს, ხოლო ჩვენი ფისო ჩამოკიდებულა ტოტზე და საცოდავად ჩხავის. კიდევ უფრო მძლავრად დაუბერა ქარმა, ხე უფრო ძლიერად შეარყია. ფისომ ვეღარ შეიმაგრა თავი, ხან ერთ ტოტზე ჩამოვარდა, ხან მეორეზე, ბოლოს სულ უკანასკნელ ქვედა ტოტზე დაეცა და იქიდან თავახდილ სანაგვე ყუთში მოადინა ზღართანი.

ცოტა ხნის შემდეგ შევამჩნიე, რომ სანაგვე ყუთში ქაღალდები შეინძრა, შემდეგ იქიდან ფისომ თავი ამოჰყო და მოუსვა!

ასე გადარჩა ჩვენი დაუპატიჟებელი სტუმარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მკერავი

ე. მაზანაშვილი

ნახატები გ. რეინიშვილისა

ქეთინოს დედა მკერავია. დილას ადრე მიდის სამსახურში და საღამოს ბრუნდება. ქეთინო ხშირად ყოფილა მასთან სამკერვალოში. ძალიან მოსწონს დედის სამსახური. რა ლამაზი სარკეები დგას იქ! ქეთინო შიგ რომ იყურება, ყველაზე პატარა მოჩანს ოთახში. ერთი დიდი ოთახი ფარდებითაა გამოყოფილი და იქაც სარკეებია. აქ ქალები კაბებს იზომავენ ხოლმე. საამქროში, სადაც დედა მუშაობს, იმდენი საკერავი მანქანა დგას და ისეთი გრიალია, სიტყვა რომ გააგონოს, ყვირილია საჭირო. ქეთინო ფეხის წვერებზეც რომ შედგეს, საამქროს ბოლოს მაინც ვერ დაინახავს. ყოველ საკერავ მანქანასთან სხვადასხვა ფერის კაბებია ჩამოკიდებული. ზოგი უკვე მზადაა, ზოგს სახელო და საყელო აკლია, ზოგი თეთრი ძაფითაა დაბლანდული. ქეთინო ხან ერთ მანქანასთან გაჩნდება, ხან მეორესთან. მაგრამ მას ყურადღებას არავინ აქცევს, ყველა სწრაფად ატრიალებს მანქანას.

დედამ თქვა, საკერავ მანქანებს აქ ელექტროდენი ატრიალებსო. იატაკზე ათასნაირი ნაკუწები ყრია და ქეთინოსაც თვალი რჩება. მაგრამ იცის, რომ ალება არ შეიძლება და მასაც ვითომ გულგრილად უჭირავს თავი. დიდი ხნითაც ვერ დარჩება აქ, საამქროს უფროსი ძია უცხოებს არ უშვებს და დედაც ქეთინოს მალე გამოაბრძანებს ხოლმე.

დედას სახლშიც აქვს საკერავი მანქანა. თუ არ მუშაობს, ზემოდან ტილო აფარია და ახლოს მისვლა აკრძალული აქვს ქეთინოს. როცა დედა კაბას კერავს, სახელურს ქეთინოს გარდა ვერავინ დაატრიალებს. ეს ყველამ კარგად იცის და თუ ქეთინომ რამე დააშავა, დიდი სასჯელი ისაა, რომ სახელურის დატრიალებას უკრძალავენ ხოლმე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დედას სკივრში ერთი დიდი ბოხჩა აქვს. რა არის იმ ბოხჩაში! ჭრელ-ჭრელი ჩითები, წითელ-ყვითელი აბრეშუმი, ათასნაირი ნაკუწები და ნაჭრებიც, საიდანაც მშვენიერი კაბა გამოუვა იმ დედოფალასაც კი, რომელიც ქეთინოს მხრებამდე სწვდება.

ქეთინოს დედოფალებს დედის შეკერილი კაბები აცვიათ. მაგრამ ახლა ქეთინო დიდია და კაბებს თვითონ შეუკერავს.

— დედა, გუშინ რომ კაბა შეკერე, რაც ნაჭერი მოგრჩა, მომეცი. — სთხოვა ბაღამოს ქეთინომ.

— მერე, რომ გააფუჭო? — გაეცინა დედას.

— რას ამბობ, დედა, კაბას როგორ ვერ შევკერავ, განა კერვაზე მე არ გეხმარები?!

ღილას ქეთინო ადრე ადგა, დედასთან ერთად ისაუზმა, კარამდე მიაცილა და მერე უკან მობრუნდა. მის პატარა მაგიდაზე ყვავილებიანი, ლურჯი ჩითის ნაჭრები ელაგა. დედის უჯრიდან მაკრატელი, თეთრი ძაფი და ნემსი ამოიღო. მერე გაახსენდა, რომ დედა ჯერ სათითურს წამოიცვამდა ხოლმე თითზე. ამიტომ სათითურიც გამოაძვრინა და თითზე წამოიცვა. მაგრამ დაჯდა თუ არა სკამზე, სათითურმა ისკუბა და ტახტის ქვეშ შეგორდა.

ქეთინო ტახტის ქვეშ შეძვრა, სათითური გამოიტანა და ისევ დედის უჯრაში შეინახა. პატარა სათითურებიც ალბათ იყიდება და დედას თხოვს, უყიდოს.

ქეთინომ ნაჭერი გაშალა და მაკრატელში თითები გაუყარა. მაკრატელმაც სათითურივით დააპირა გაქცევა, მაგრამ ქეთინომ ხელი მაგრად მოუჭირა და აღარ გაუშვა. აი, გამოჭრა წინა კალთა, უკანაც. სახელოებიც დაამზადა; მერე დაბლანდა, დედოფალა სარკესთან მიიყვანა და მოაზომა. მაგრამ კაბა დედოფალას განიერიც და გრძელიც მოუვიდა. ქეთინომ ისევ დაარღვია და დაუპატარავა. მაგრამ ახლა კი ვიწრო გამოდგა.

— ეგ როგორ იქნება, ქეთინო, — უთხრა ბებიამ, — შენ რომ ეგრე აპატარავო, ნაჭერი აღარც დაგრჩება.

ქეთინომ მეორე დედოფალას ჩააცვა ის კაბა. იმას ცოტა დიდი მოუვიდა, მაგრამ ხელი აღარ ახლო. დედა რომ მოვა, აჩვენებს და მერე შეიძლება დიდი კაბების კერვაშიც მოეხმაროს ქეთინო. ბებიას კი ეტყვის, დედას არაფერი უთხრას, რომ მკერაობა არ დაუწუნოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკის წიგნი

დ. ვალეჭკორია

ნახატები გრ. ჩირინაშვილისა

თამრიკო მეორე კლასში რომ გადავიდა, ბიბლიოთეკის წევრად მიიღეს, ლამაზი წიგნი ჩააბარეს და დაარიგეს:

— ყურადღებით წაიკითხე წიგნსაც გაუფრთხილდი: ყდაზე ქაღალდი გადააკარი, ჭუჭყიანი ხელები არ მოჰკიდო და თითი ნერწყვით არ დაისველო. აი, ასე გადაფურცლე!—დეიდა ნინომ ფრთხილად ამოდო ფურცელს საჩვენებელი თითი, მერე ხელის მთელი მტევანი შეაშველა და ფურცელი ისე გადაშალა.

გოგონამ წიგნი წამოიღო და ცდილობდა, დერეფანშიც არავის გაჰკარებოდა.

— შეხედეთ, მე რა მაქვს? ბიბლიოთეკაში ჩამწერეს! — შესძახა სახლში მისულმა თამრიკომ და თან მისკენ წამოსულ პატარა დას წიგნი მოარიდა.

— გაიწი, ლიზიკო, ეს წიგნი შენთვის არ შეიძლება. გესმის?

მაგრამ პატარას არაფერი ესმოდა და ცდილობდა როგორმე ხელთ ეგდო ლამაზი წიგნი. თამრიკომ და მუხლებზე დაისვა, სურათები დაათვალიერებინა, თუმცა ხელში დასაკავებლად მაინც არ ანდო. გაკვეთილები რომ დაამზადა, მაგიდა მიალაგა, სკამზე მოხერხებულად დაჯდა და ქაღალდგადაკრული წიგნი გადაშალა. წიგნი სულ პატარა იყო, თამრიკოს შეეძლო იგი ახლავე გადაეკითხა, მაგრამ მერე რომ ალარ ექნებოდა ბიბლიოთეკის წიგნი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ერთ დღეს ცუდი ამბავი მოხდა.

— დახია, დახია! ვაიმე, ბიბლიოთეკის წიგნი დახია! — ტირიდა თამრიკო და დისაკენ მიიწევდა. მაგრამ ლიზიკო მამამ ხელში აიტაცა და თამრიკო მხოლოდ მის წითელ ფეხსაცმელებს მისწვდა. მერე ისევ წიგნს მიუბრუნდა; გახეულ ფურცლებს აკოწიწებდა, ხელის გულით აუთოვებდა, გაფლეთილი ადგილები კი ისევ აღებდა პირს და თამრიკოც ხმას უმატებდა:

— რაღა გვეშველება, რას მეტყვიან სკოლაში, რა უნდა ვუპასუხო?

ლიზიკოც ატირებულ დისაკენ მიიწევდა. ხან დედას გამოედებოდა ფეხებში, ხან მამას, მაგრამ დასთან არავინ უშვებდა. ბოლოს მაინც თავისი გაიტანა, დედ-მამას გარს შემოუარა, თამრიკოსთან ფრთხილად მივიდა, ხელები შემოხვია და, სადაც მისწვდა, ყველგან აკოცა.

თამრიკომ ლიზიკოს შეხედა და დასარტყმელად მოქნეული ხელი შეაჩერა. ლიზიკოს თვალები ცრემლით ავსებოდა და თან რაღაცას ბუტბუტებდა.

„ჩემი ბრალია, — გაიფიქრა თამრიკომ, — კარადაში უნდა შემენახა. იქიდან, თითის წვერებზეც რომ შემდგარიყო, მაინც ვერ ჩამოიღებდა“

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკ. ჭკადუა

თახვი

ნახატები გ. ფოცხიშვილისა

მუყაითი მშენებლები

არ იფიქროთ, ბავშვებო, რომ სახლების აშენება მარტო ადამიანებს შეუძლიათ. სახლებს აშენებენ მეტად ჭკვიანი, უწყინარი და მუყაითი ცხოველებიც, — ფაფუკბეწვიანი თახვები. ისინი მდინარეებისა და ტბების ნაპირებზე ცხოვრობენ. საჭმელად ტირიფის ქერქი უყვართ, მაგრამ თუ ძალიან გაჭირდა, არც მუხის ქერქზე იტყვიან უარს. საზრდოს ტყეში შოულობენ. თუ ტყე შორს არის, არხები გაჰყავთ ტყემდე და გაცურდებიან ხოლმე. ნიჩბის მაგივრად მშვენივრად ხმარობენ კუდებს. ცუდი ამინდის მოახლოებას ადრევე გრძნობენ. უნდა ნახოთ, რა თავდაუზოგავად აშენებენ ამ დროს თავშესაფარს! დედამიწის ზურგზე არც ერთ ცხოველს არ შეუძლია ისეთი კარგი სახლის აშენება, როგორც თახვს. მათი სახლი მაღალია, ფართო და, ასე გასინჯეთ, ორსართულიანიც. ქვედა სართულში საკუჭნაო აქვთ, ზედა სართულზე კი თვითონ ცხოვრობენ. აბეზარმა სტუმრებმა შიგ რომ არ შეიჭყიტონ, ხვრელებს შლამით ამოავსებენ და მკერდით შელესავენ ხოლმე. შესასვლელებიც მიხვეულ-მოხვეულია, რათა წყალი მგელი ან ფოცხვერი არ შემოეპაროთ. წყალდიდობის დროს რომ არ წაილეკონ, მდინარეებზე ჯებირებს აგებენ ხოლმე; თუ ტბაში წყალი აიწევს, არხს პირს გაუხსნიან და წყალს გადაუშვებენ.

იქნებ გიკვირთ, თახვი სახლს როგორ ააშენებს, მას ხომ ხელები არა აქვს! მართალია, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ სადაც ხელებია საჭირო, იქ თახვი თავის ბასრ კბილებს, ჭკვიან თავს, მოქნილ კუდსა და მკერდსაც კი იშველიებს.

აი, მშენებლობის უფროსმა თახვმა დაუსტვინა. სხვა თახვებმა მყისვე მიატოვეს თავიანთი ბინები და ცურვით აჰყვნენ მდინარეს. აუზის პირას ფრთხილად ამოჰყვეს დრუნჩები, დაყნოსეს ჰაერი და, როცა დარწმუნდნენ, საფრთხე არ ემუქრებოდათ, სამუშაოდ ტყეს მიაშურეს. შეარჩიეს ხეები, შეაღრღნეს ტოტები გარშემო და მერე იმ მხარეს განაგრძეს ღრღნა, საითაც წაქცევა უნდოდათ. მალე ხეებმა ზღართანი მოიღეს. თახვებმა ისინი კბილებით დაჭრეს, გაა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სუფთავეს და თავიანთი ქალაქისაკენ ჩაიცურეს.

თახვები დიდხანს ცოცხლობენ, მძიმე ტყვეობაშიც კი ორმოცდაათ წელიწადს ძლებენ.

მოხუცი თახვის ზღაპარი

ზამთრობით თბილ სახლებში შეყუჟული მოხუცი თახვები უთუოდ საოცარ ზღაპრებს მოუთხრობენ თავიანთ შვილებსა და შვილიშვილებს. პატარა თახვებიც გულისყურით უსმენენ და მხოლოდ ხანდახან ულვაშებს აცმაცუნებენ, რათა პაპას აგრძნობინონ: თუმცა თვალები დახუჭული გვაქვს, მაგრამ როდი გვძინავს, არც ისე, ბოიყვები ვართ, როგორც გეჩვენებითო.

თახვს ბევრი მტერი ჰყავს: მგელი, გაუმაძღარი ფოცხვერი და დათვიც კი.

ჰოდა, ერთხელ, როგორც მოხუცი თახვი ამბობს, ტყეში გამოჩნდა წუწკზე წუწკი ფოცხვერი ლინქსი. ჩაფიქრდა თახვების წინაპარი კასტორ-ფიბერი. ჯერ სამი დღე იფიქრა, მერე სამი ღამე თხარა დიდი ორმო. ამ საქმეში მას სამოცი თახვი დაეხმარა. მეოთხე დღეს ორმოს ზემოდან ტოტები ააფარეს, ფოთლები ააყარეს და იქაურობას გაეცალნენ. შიგ დარჩა მხოლოდ კასტორ-ფიბერი. მან საიდუმლოდ გათხარა ორმოს ქვეშ არხი მდინარემდე, იმდენი წყალი გადმოუშვა, რამდენიც მისი აზრით საჭირო იყო ფოცხვერის დასახრჩობად, შემდეგ კი ხვრელი ჩაკეტა.

მეხუთე დღეს ამ ორმოსთან გამოიარა ფოცხვერმა. როცა მოახლოვდა, ფოთლებიდან თახვმა ფიბერმა ამოჭყო თავი. ბოროტმა ფოცხვერმა ელვის სისწრაფით ისკუპა და ორმოს დაახტა, მაგრამ ტოტები ჩაცვივდა და ფოცხვერიც წყალში დაიხრჩო. თახვების ქალაქმა თავისუფლად ამოისუნთქა.

ასევე მოიშორა პაპა ფიბერმა წუწკი დათვიც; სხვა მხრივ რომ ვერ მოახერხა თახვების ხელში ჩაგდება, დათვმა არხის გადაღმა, მათი ქალაქის ახლოს, ერთი ნახევრად წამოქცეული ხე იპოვა, რომლის ბოლო თახვების კუნძულზე იყო გადმოწოლილი. ღამღამობით მოიპარებოდა, ამ ხეზე გადაცოცდებოდა და მძინარე თახვებს აწიოკებდა.

ფიბერს ახლაც სთხოვეს შველა თახვებმა. ფიბერმა ასეთი ხერხი მოიგონა: ხე ისე გადაღრღნა, რომ დიდ სიმძიმეს ვერ გაუძლებდა. დათვი ჩვეულებისამებრ დაადგა საიდუმლო გზას, მაგრამ შუამდე რომ მიაღწია, ხე ჭრიალით ჩატყდა და დათვი აქაფებულ წყალში ჩავარდა.

თახვების მთელი ქალაქი მეორე დღეს ასე მღეროდა:

დათვო, დათვო, დათუჩაო!
დათვმა თვალი დახუჭაო!
წუწკი დათვის განზრახული
ბრძენმა თახვმა ჩაფუშაო!

— შვილებო, თუ ჭკუით იქნებით და თანხმობით იმუშავებთ, ვერც ფოცხვერი დაგაკლებთ რასმე და ვერც დათვი,— დააყოლებს ხოლმე მეზღაპრე.

პატარა თახვები ასეთი ამბების მოსმენისას ეშმაკურად იღიმებიან და თავებს იქნევენ, რაც ნიშნავს: ჭკუით ვიყ-ნებითო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ. მეგლინი ნახატი ბ. ფოცხიშვილისა

სამი აქლემი

უდაბნოა ქვიშით სავსე,
ყველგან ცხელი ქვიშა ჰყრია,
ამგვარ გზაზე გავლა მხოლოდ
ამტან აქლემს შეუძლია.
აჩქარება მას არ უნდა,
არც მათრახი და არც წყევლა,
წყალს კვირაში ერთხელ შესვამს,
კვირას გასძლებს დაულევლად.
დიდი ხნიდან უდაბნოში
აქლემების ვიცნობთ ოჯახს:
აქლემს დიდს და შუათანას
და პატარა ლამაზ კოზაკს.
თუ ჩალვადარს მოაქვს ტვირთი
აქლემებზე ასაკიდად,
უფროს აქლემს კოზაკისთვის
გული სტკივა თურმე დიდად.
ის მზად არის მაშინ თვითონ
მთელი ტვირთი აიკიდოს;
მაგრამ როცა ისვენებენ,
დაღლილია ყველა ძლიერ,
წევს კოზაკიც და უფროსებს
კუდით ბუზებს უგერიებს...
დიდი ხნიდან უდაბნოში
აქლემების ვიცნობთ ოჯახს.
აქლემს დიდს და შუათანას
და პატარა ლამაზ კოზაკს.
ერთხელ შიშველ უდაბნოში
აერიათ გზა და კვალი,
უკანასკნელ ტიკში მხოლოდ
დარჩათ ერთი ჭიქა წყალი.
მიდიოდა ქარავანი
და მდინარე არსად ჩანდა,
არც ხე ჩანდა და არც წყარო
გახურებულ ქვიშის გარდა.
მაგრამ მაინც ერთად იყვნენ
ერთმანეთის მხარდამხარა,
მეგობრობამ აპოვნინათ
წყარო ცივი და ანკარა.
თავზე ადგათ ჩრდილი ხეთა
აქლემების გამრჯე ოჯახს:
აქლემს დიდს და შუათანას
და პატარა ლამაზ კოზაკს.

თარგმნა **რევაზ მარგიანმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ. ჯანგულაშვილი

ყუყუნა და ჯუჯული

ნახატები ბ. როინიშვილისა

ქარმა გაიბუბუნა,
მოდის წვიმა ყუყუნა,
საქათმეში შევარდა
ცეცქი გოგო ყუყუნა.

გაწუწული ჯუჯული
კარში რად ატუბუღა?
ეხვეწება ყუყუნა:
— შენც მობრძანდი, ჯუჯულავ!
მოდი, ამ შენს საქათმეს
განა ვინმე წაგართმევს.

გამოცანები

1. თეთრი რამ შავზე დახტოდა
ტოვებდა თეთრსა კვალსაო;
კვალშივე უდგა ყმაწვილი,
არ აშორებდა თვალსაო.

2. ერთსა მინდორზე დახტოდა
ერთი უკუდო კატაო;
რაც საკუდელზე დააკლდა,
ყურებზე მიერბატაო.

3. უფრთო, უხელო, უფეხო,
უცხვირპირო და უყურო;
— არ ვცემო, რწგორ იქნება
არ ვსდიო, როგორ ვუყურო.

ბ. ბერიაშვილი

საყვედური

ლურჯი ველოსიპედი,
ახალი და კრიალა,
მოგიტანე საჩუქრად,
დასამტვრევად კი არა.

ყველაფერს, რომ აფუჭებ
განა გასახარია?
სათამაშო რად გინდა,
თუ ვერ მოგიხმარია.



პ ა ს უ ხ ი

„დილა“ № 9-ში მოთავსებული რებუსისა:
“თაგვმა თხარა, თხარაო,—კატა გამოთხარაო“.

ბარნაულის სახ. სამ. სახელმწიფო ბიბლიოთეკა
საჯარო წიგნი

6·125/153

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. ბუბუშვილი

ფუტკარი

ჩაბნელებულ ფულუროში
ტყეში მქონდა ბინა,
დათუნიამ ჩემი თაფლით
ბევრჯერ მოიღინა.

დღეს სკა არის ჩემი სახლი!
კოხტა, პაწაწინა,
ახლაც მიკვირს, ულრან ტყეში
როგორ ვძღებდი წინათ?



ნახატი ი. ბაბაშვილისა

ყდის მხატვრობა ეკუთვნის რ. ცუცქირიძეს

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ეკ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი, ქ. გოგიაშვილი, მაკვალა მრევლიშვილი (რედაქტორის მოადგილე), რ. მარგიანი, ი. სიხარულიძე, ნ. უნაფქოშვილი, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი) **გამოცემის ოცდამეცხრე წელი** ფასი 2 მან.

Д И Л А — ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ Грузии № 8, август 1956 г. Тбилиси Просп. Плеханова 91.

საგლეტბამი, რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრსპ. 91 ტელ. 3-37-36. გამომც. შეკვ. № 435 სტამბის შეკვ. № 374|1971 ტირაჟი 15.000 უე 06930 ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/IX-56 წ. ტექსტი აწყობილია პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის" სტამბაში. ქაღალდი დაბეჭდილია ლითო-ოფსეტურ ფაბრიკაში